პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1975 წ.
№ 52 (5342) 15 მარტი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რეკორდები

ალმა-ათა, 12 მარტი. „მედეოს" მაღალმთიან საციგურაოზე მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების მეორე დღეს გორკელმა ტ. ავერინამ წინადღით დამყარებულ ორ მსოფლიო რეკორდს დღეს კიდევ ორი ასეთივე რანგის მიღწევა დაუმატა: 1000 მ 1 წუთსა და 26,12 წამში გაირბინა, ხოლო მრავალჭიდის ჯამში 176,930 ქულა დააგროვა.

• • •

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ტ. ავერინა ასპარეზობისას.

ვ. განჩუკის ფოტო.
(„კომსომოლსკაია პრავდა").

საქართველოს პროფსაბჭოში

გადაწყვეტილება დროულად უნდა შესრულდეს

ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა იმაზე, თუ როგორ იბრძვიან პროფკავშირული სპორტული საზოგადოებები და ფიზკულტურული ორგანიზაციები ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივნისის დადგენილების შესრულებისთვის.

აღინიშნა, რომ შარშან ამ საკითხს მიეძღვნა რესპუბლიკის პროფკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრება პარტიული, სამეურნეო და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლთა მონაწილეობით.

კრების შემდეგ ნებაყოფლობითი პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების საბჭოებმა, ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს, შესრულდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1974 წლის გეგმის ყველა ძირითადი მაჩვენებელი.

სპორტსაზოგადოებათა საბჭოების მატერიალური და ორგანიზაციული განმტკიცებისთვის გადამჭრელი ღონისძიებანი გატარდა: სპორტის ზოგიერთ სახეობაში ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის მომზადებისა და ბავშვთა შორის სპორტული საქმიანობის კიდევ უფრო ამაღლებისთვის დამატებით შეიქმნა მწვრთნელთა და ინსტრუქტორთა 70 საშტატო ერთეული, მომავალი ოლიმპიადისთვის პროფკავშირელი სპორტსმენების წვრთნის პირობების გაუმჯობესებისა და მათი სპორტული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით რამდენიმე ასეული ათასი მანეთით გაიზარდა ოლიმპიური მზადების საყრდენი პუნქტების ბიუჯეტი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ბაზების მოვლა-პატრონობის საკითხს: შეკეთდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა „განთიადის" ტანვარჯიშული და „ბურევესტნიკის" სპორტთამაშების დარბაზები თბილისში, „სპარტაკისა" და „განთიადის" კორტები ბათუმსა და თბილისში, აშენდა მთამსვლელთა ბანაკ „აილამას" ფილიალი ზესხოს ხეობაში, ქუთაისში, „განთიადის" აუზის ტერიტორიაზე, დამთავრდა სასტუმროს მშენებლობა, რემონტის შემდეგ მწყობრში ჩადგა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის აუზი, დამთავრდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დახურული საცურაო აუზის მშენებლობა, ზაჰესის მიდამოებში მოეწყო „ლოკომოტივის" სანიჩბოსნო ბაზა, თბილისში დაიწყო მძლეოსნური მანეჟის მშენებლობა, თითქმის გადაწყდა „ბურევესტნიკის" ორდარბაზიანი სპორტული კომპლექსისა და 25-მეტრიანი აუზის აგება...

პრეზიდიუმის სხდომაზე ითქვა ისიც, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის პროფკავშირელი სპორტსმენების უკეთ მომზადების მიზნით ორ ეტაპად გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა საზაფხულო სპარტაკიადა 23 სახეობაში. საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ტექნიკურ სახეობებში ნაკრები გუნდების დაკომპლექტებისთვის ნაყოფიერად შრომობს საქართველოს დოსააფის ორგანიზაციები.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივნისის დადგენილების შესრულებისთვის რესპუბლიკის პროფკავშირული სპორტსაზოგადოებებისა და ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოები ჯერ კიდევ სათანადოდ როდი ზრუნავენ. სპორტის ზოგიერთ სახეობაში ტექნიკური შედეგები ისევ დაბალია, ჩამორჩენილი სახეობების განვითარებისთვის ძალიან ცოტა რამ გაკეთდა, ნაკლებ კონტროლს უწევენ მწვრთნელების, სპორტსაზოგადოებების, ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოების მუშაობას, სპორტსაზოგადოებები ნაკლებად ზრუნავენ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, დღემდე გადაუწყვეტელია უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების რეორგანიზაციის საკითხი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადებაზე, სოფლად ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა კვლავ დაბალ დონეზეა, ყველაფერი არ კეთდება სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებისთვის.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს დაავალა:

იზრუნონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებათა შესრულებაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სპორტის იმ სახეობების შემდგომ განვითარებას, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში შედის;

რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრებს შეუქმნან წვრთნისა და დაოსტატების მაქსიმალური პირობები;

მთელი ძალები წარმართონ იქითკენ, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში, ზამთრის XII და ზაფხულის XXI ოლიმპიურ თამაშებში პროფკავშირელმა სპორტსმენებმა რაც შეიძლება უკეთესად იასპარეზონ, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ყველა მაჩვენებელი დროულად შესრულდეს და ამ მიზნით კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება;

დოსააფის ორგანიზაციებს მეტი დახმარება გაუწიონ სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარებაში;

შეაკეთონ და კეთილმოაწყონ არსებული სპორტული ნაგებობანი;

ხშირად გამართონ სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობანი...

„ლელოს" პრიზების პირველი ლაურეატები

ბაკურიანი, 13 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გაზაფხული დადგა, მაგრამ ბაკურიანში ყველაფერი თეთრ სამოსელშია გახვეული. მართალია, ძლიერი ყინვა აღარ არის, მაგრამ თოვლი ყველგან ჯერ კიდევ საკმარისზე მეტია და სათხილამურო სპორტის მოყვარულები ასპარეზობას ხალისით ხვდებიან. გამარჯვებისთვის ბრძოლას კი აზრი მართლაც აქვს. აქ, საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურში მოპოვებულ ქულებს სამთომოთხილამურეთა შორის მედლების საბოლოო განაწილების დროს მიენიჭება მნიშვნელობა. თანაც, „ლელოს" პრიზებისთვის ბრძოლა ყველას საპატიო ამოცანად მიაჩნია.

წლევანდელი შვიდტურიანი ჩემპიონატი მარტო პირად ჩათვლაში უძლიერესებს როდი დაასახელებს. ტარდება სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდური პირველობაც და მათი საბჭოები ყოველი ტურის შეჯიბრებებში თავიანთი კოლექტივების მონაწილეობას დიდი გულისყურით ეკიდებიან.

ყველაზე ძლიერი სამთომოთხილამურეები „სპარტაკს" რომ ჰყავს, ეს პროფკავშირთა ზამთრის VIII საკავშირო სპარტაკიადამაც დაადასტურა — ტერსკოლში, ჩეგეტის მთის ფერდობებზე სამი კვირის წინათ გამართული ასპარეზობა სწორედ სპარტაკელებმა მოიგეს. საკავშირო პირველობას ორი ტურის შემდეგ კი ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრებს საერთო ჯამში 699 ქულა ჰქონდათ. ისინი „ბურევესტნიკს" 57 ქულით ასწრებდნენ (III ადგილზე „დინამო" იყო — 452 ქულა). ეს ბევრი როდია. ყოველი ტურის შეჯიბრებებში რომელიმე სახეობაში I და II ადგილებზე გასული სპორტსმენები 73 ქულას (შესაბამისად — 40 და 33) აგროვებენ, მაგრამ საკითხავი ისაა, მოიპოვებენ თუ არა „ბურევესტნიკის" წევრები ბაკურიანში მეტ I და II ადგილს და, საერთოდ, შეუძლიათ თუ არა მათ სპარტაკელების ძლევა.

დღეს ბაკურიანში ქალებიცა და ვაჟებიც სწრაფდაშვებაში ასპარეზობდნენ. შეჯიბრებამ „სპარტაკსა" და „ბურევესტნიკს" შორის ქულების მხრივ განსხვავება კი არ შეამცირა, პირიქით, კიდევ უფრო გაზარდა. ვაჟთა ტურნირში როგორც პირადი, ისე გუნდური ჩათვლისთვის ქულებს ის სპორტსმენები იღებენ, რომლებიც უძლიერესთა ოცეულში მოხვდებიან, ქალთა შორის კი ის მოთხილამურეები, რომლებიც თხუთმეტ საუკეთესოში დაიკავებენ ადგილებს. და აი, ამ ოცდათხუთმეტი უძლიერესის ჯგუფში დღეს „სპარტაკის" 10 მოთხილამურე შევიდა (6 ვაჟი — 63 ქულა, 4 ქალი — 71 ქულა), „ბურევესტნიკისა" კი მხოლოდ — 7 (4 ვაჟი — 57 ქულა, 3 ქალი — 55). ის კი არა, დღეს სტუდენტთა კოლექტივს მოუსწრეს დინამოელებმაც, რომლებმაც 113 ქულა მოაგროვეს.

დღევანდელი პროგრამის ჩათვლით საერთო გუნდურ პირველობაში „სპარტაკს" 833 ქულა აქვს. II ადგილზეა „ბურევესტნიკი" — 744, III — „დინამო" — 565.

რაც შეეხება პირად შეჯიბრებას, „ლელოს" პრიზზე გამართულმა პირველმა სტარტებმა ვაჟებში უპირატესობა დინამოელ ვ. სემიონოვს (კიევი)

(დასასრული მე-8 გვ.).

სპორტი ამბები — 75

● სვერდლოვსკი, 12 მარტი. იუნიორთა შემდეგ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში უფროსი ბიატლონისტები ჩაებნენ. 20 კილომეტრზე რბოლაში ოთხი საცეცხლე ზღუდით გაიმარჯვა მოსკოვის დინამოელმა ა. სელიფონოვმა. მისი შედეგია 1:23.49 (უჯარიმოდ). II ადგილზე გავიდა ნოვოსიბირსკის დინამოელი ა. ტიხონოვი — 1:24.14 (7 საჯარიმო წუთის ჩათვლით). მესამე იყო ვ. ნიკოლაევი („ლოკომოტივი", სიზრანი) — 1:24.29 (1).

● **ტოკიო, 12 მარტი.** იაპონიის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა გაიმარჯვა აზიის ჯგუფის გუნდების მონაწილეობით გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში. მან მოიპოვა საგზური ფინალური ტურნირისა, რომელიც წლეულს დეკემბერში გაიმართება სსრ კავშირში.

● ოლოტი, 12 მარტი. ლვოველმა მოჭადრაკემ, საერთაშორისო ოსტატმა ო. რომანიშინმა წარმატებით აიღო სტარტი ესპანეთის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში. III ტურში მან 44-ე სვლაზე სძლია ხ. ხურადოს (ესპანეთი) და 3 ქულა დააგროვა!

წყალბურთელთა წარმატება

ვოლგოგრადი, 12 მარტი. ადგილობრივი „სპარტაკის" აუზში დამთავრდა პროფკავშირთა უძლიერესი გუნდების საკავშირო შეჯიბრება წყალბურთში.

ასპარეზობის ბოლო დღეს გამართულ დასკვნით მატჩში ვოლგოგრადის „სპარტაკმა" ანგარიშით 7:6 სძლია მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის გუნდს და I ადგილი დაიკავა. მინსკელები III ადგილზე გავიდნენ. II ადგილზეა ლენინგრადის „ბალტიკა".

სსრ კავშირის ჩემპიონმა — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა აქ საასპარეზოდ დუბლიორები გამოგზავნა.

ფეხბურთი '75

ანდრო ქორდანიას სახელობის პრიზზე

დასასრულს მიუახლოვდა სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. ქორდანიას სახელობის პრიზის გათამაშება, რომელიც „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თაოსნობით ტარდება. უკვე მოეწყო ნახევარფინალური შეხვედრები. ჩოხატაურის „ბახმარომ" დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააგო გეგეჭკორის „სალხინოსთან" — 0:1. „ქართლისა" (გორის რაიონი) და „გიგანტის" (ლაითურა) მატჩში გამარჯვებული ვერც დამატებითი დროის შემდეგ გამოვლინდა. საჭირო შეიქნა დამატებითი პენალტების სერია, რამაც წარმატება „ქართლს" მოუტანა — 7:6.

ამრიგად, ფინალში გავიდნენ „სალხინო" და „ქართლი". მათი გადამწყვეტი მატჩი 19 მარტს შედგება თბილისის ასკ-ს სტადიონზე. დასაწყისი 13 საათზე. წვიმიანი ამინდის შემთხვევაში თამაში გაიმართება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბაზაზე დიღომში.

კიეველები ემზადებიან

ბრატისლავა, 11 მარტი. ადგილობრივ „ინტერთან" ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში იყვნენ კიევის „დინამოს" ფეხბურთელები. მათ დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 4:3.

დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ბლოხინმა (2), კოლოტოვმა და მუნტიანმა.

საინტერესოდ მიმდინარეობს ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. სურათზე აღბეჭდილია მატჩის მომენტი რუსთავის სტადიონზე ადგილობრივ „მეტალურგსა" და გორის „დილას" შორის, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს — 1:0.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეხმაურებით სტატიას „წერილი, რომელსაც მეხუთე ნაწილი არა აქვს“

ქართველ მოჭიდავეთა გამოუყენებელი რეზერვები

გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე ამ ბოლო ხანს რამდენიმე წერილი დაიბეჭდა, სადაც გულისტკივილით იყვნენ გაკრიტიკებული ჩვენი მოჭიდავეები და მწვრთნელები. გაზეთმა მკითხველს დაუტოვა სიტყვა საბოლოო დასკვნებისთვის და ფართო აუდიტორიას მოუწოდა გამოხმაურებოდა მას. ეს სავსებით ლოგიკურია და ჩვენ უნდა მივესალმოთ გაზეთის ასეთ მოწოდებას. ჯანსაღი კრიტიკა მუდამ სასარგებლოა. იგი აფხიზლებს მოდუნებულ აზროვნებას და სტიმულს იძლევა ღრმა ანალიზისთვის. მაშ ჩვენც შევეცადოთ გავერკვიოთ შექმნილ ვითარებაში, ვინაიდან ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურ სპეციალიზებულ სკოლას და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრას, რომელთა სახელითაც ჩვენ დღეს გამოვდივართ, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჭიდაობის აწმყოსა და მომავალზე. „ლელოს“ ფურცლებზე დაბეჭდილმა წერილებმა სპეციალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბუნებრივია, ზოგს არ ესიამოვნა ეს, მაგრამ, ვინც ღრმად სწვდება საქმის ვითარებას, იგი დარწმუნებულია, რომ კრიტიკა მიმართულია ჭიდაობის გაუმჯობესების გზების გამოძებნისკენ.

ჩვენთვის, სპეციალისტებისთვის, მოჭიდავეთა ჩამორჩენა უკვე ნათელია. 1974 წლის მაისში ჩვენ „ლელოში“ დავბეჭდეთ მეთოდური წერილი, რომელშიც განვიხილეთ მოჭიდავეთა წვრთნის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და დასკვნაში მოკლედ, მაგრამ საკმაოდ ნათლად აღვნიშნეთ: „ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში სპორტული რეკორდები ისე გაიზარდა, რომ შემდგომი წინსვლა წარმოუდგენელია მეცნიერების მონაცემების გამოუყენებლად. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ სპორტშიც პოვა თავისი გამოხატულება. საჭიროა სასწავლო-საწვრთნელ პროცესში უფრო გაბედულად დავნერგოთ მართვის მეცნიერული პრინციპები. აი, ის გზა, რომელმაც უნდა განაპირობოს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის წინსვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩამოვრჩებით და ჩამოვრჩებით უიმედოდ, ახლო მომავალში ჭიდაობის სახეობებშიც დავკარგავთ იმ მიღწევებს, რაც დღეისთვის გვაქვს“.

აი, ჩვენი შეხედულება საქართველოს მოჭიდავეთა ახლანდელ მდგომარეობაზე. ბუნებრივია, რომ სპეციალისტი სხვაზე უმალ უნდა გაერკვეს საქმის ვითარებაში, მაგრამ, როცა საქმე იქამდე მივა, რომ ამას იგრძნობს მაყურებელი და ეს ყველაფერი პრესაშიც აღინიშნება, მდგომარეობა უკვე საგანგაშოა. ეს უკვე არაა ეპიზოდური, შემთხვევითი მოვლენა, ეს უკვე ქრონიკული ჩამორჩენაა და რადიკალური ზომების მიღებას მოითხოვს.

ზოგიერთი, ვინც მოვლენას მხოლოდ ზედაპირულად უყურებს, ამის შესახებ იტყვის (და ბევრჯერ უთქვამთ კიდეც), რომ მოჭიდავეები საქართველოში იყვნენ, არიან და იქნებიანო. საბუთი? ისინი აცხადებენ, რომ საქართველოში ჭიდაობა ეროვნულ სპორტს მიეკუთვნება.

ვეთანხმებით, მაგრამ აქვე შევნიშნავთ: განა თავისუფალი ჭიდაობა ეროვნულ სახეობად არაა აღიარებული ირანსა და თურქეთში? ეს ქვეყნები ხომ ბოლო წლებამდე უძლიერესთა შორის უძლიერესნი იყვნენ თავისუფალ ჭიდაობაში. როცა ალექსანდრე მედვედმა მოუგო გამოჩენილ ფალავანს ტახტის, ამან ირანელთა საყოველთაო გლოვა გამოიწვია და თვით შაჰიც ააცრემლა. განა თუნდაც ეს ფაქტი არ მოწმობს, რომ ჭიდაობა ამ ქვეყანაში სპორტის ეროვნული და უსაყვარლესი სახეობაა? მაგრამ სად არიან დღეს ირანისა და თურქეთის უძლიერესი მოჭიდავეები? მსოფლიო პირველობებში ამ ქვეყნების თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდებს უკვე უჭირთ ხუთეულში მოხვედრაც კი. ამ ჩამორჩენას განა თავად არ გრძნობენ და მწარედ არ განიცდიან? აი, ამის ერთ-ერთი მაგალითი: თბილისში წლეულს ჩატარებული თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირის დროს ჩვენთან საუბარში ირანში ყველაზე მეტად აღიარებულმა მწვრთნელმა, ლეგენდარულ მოჭიდავეთა მთელი თაობის (ტახტი, მეხტიზადე, მოვახედი, ზანდი, სეიფური, ხანატკანარი და სხვ.) აღმზრდელმა ბოლურმა გულისტკივილით თქვა: „საკმარისი არაა, საბჭოთა კავშირის მოჭიდავეებმა მარტო თვითონ მოიპოვონ ყველა ოქროს მედალი. თუ მოწინააღმდეგე არ ვყოლათ, საერთაშორისო შეჯიბრებები საინტერესო არ იქნება. საჭიროა დავეხმაროთ ჩვენც და აზიის სხვა ქვეყნებსაც“.

ბოლურმა გვთხოვა გვეჩუქებინა ჩვენში გამოცემული თავისუფალი ჭიდაობის სახელმძღვანელო, გვითხრა: ვეცდები ვთარგმნო ეს წიგნი ირანში და ამით დავეხმარო ჩვენს მოჭიდავეებსო.

ირანელ მოჭიდავეთა მხცოვანი მწვრთნელი მიხვდა, რომ წიგნი ცოდნის წყაროა, რომ თანამედროვე მოწინავე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გარეშე დღეს შეუძლებელია დაკარგული პოზიციების აღდგენა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კლასიკურ ჭიდაობაში უძლიერესმა ქვეყნებმა — შვეციამ, ფინეთმა და სხვებმა დაკარგეს თავიანთი უმდიდრესი ტრადიციები, იმ დროს, როცა სსრ კავშირის ზოგიერთმა რესპუბლიკამ (მაგალითად, ყაზახეთის სსრ, ჩეჩენ-ინგუშეთისა და დაღესტნის ასსრ), რომლებსაც ახლო წარსულში არსებითი არაფერი ჰქონდათ, მსოფლიოში მოწინავე პოზიციები დაიპყრეს. აქედან ზოგიერთის მიერ წამოყენებული თეზისი, რომ საქართველოს ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება უძლიერესი მოჭიდავეები, მცდარია. საქართველო იყო უძლიერესთა ქვეყანა ჭიდაობაში, მაგრამ დღეს იგი სერიოზულ კრიზისს განიცდის და თუ დროულად არ ვუშველეთ, აღარ იქნება საუკეთესო მოჭიდავეთა რესპუბლიკა.

ჩვენი ჩამორჩენის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ ველარ მივყევით დიდი სპორტის თანამედროვე, ათმაგად გაზრდილ მოთხოვნებს. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ნიჭიერების ხარჯზე შეიძლებოდა სარეკორდო შედეგებისა და ჩემპიონობის მოპოვება. დღეს სპორტი დიდი ხელოვნებაა და მას ტალანტთან ერთად ესაჭიროება უდიდესი, არაადამიანური შრომა, ფანტასტიკური ნებისყოფა. აი, ამისი ნათელი მაგალითი: გდრ-ის, აშშ-ს და ავსტრალიის მოცურავეები წელიწადში 2800-3200 კმ-ს ფარავენ. შედეგი პირდაპირ პროპორციულია სპორტსმენის მიერ დახარჯული შრომისა: ბელგრადში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაში გდრ-ის მოცურავეებმა 12 ოქროს მედალი მოიპოვეს, აშშ-ს წარმომადგენლებმა — 11. აი, დიდ სპორტში აღიარებული თანამედროვე წვრთნის მსოფლიო სტანდარტები: კვირაში 42, დღეში კი 6-7 საათს წვრთნა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შევეხოთ კავშირს სპორტსმენის შრომასა და მის ნიჭიერებას შორის და მოვიყვანოთ მძლეოსნობაში ცნობილი ფინელი მწვრთნელის პიკკალას აზრი ამის შესახებ. იგი ამბობს, რომ „ნიჭიერება და წვრთნა — ეს ფაქტორებია, რომლებისგანაც ჯამდება მორბენლის წარმატება. ისინი ურთიერთკავშირში არიან, მაგრამ კი არ უნდა შევაჯამო ერთმანეთთან, არამედ გადავამრავლო. თუ ერთ-ერთი ფაქტორი ნულს უდრის, ამ შემთხვევაში საბოლოო შედეგი ნულს უთანაბრდება.“

სრული ჭეშმარიტებაა! ნიჭიერების მხრივ ჩვენ არ შეგვიძლია უკმაყოფილება გამოვთქვათ. პირიქით, ჩვენი ქართველი ახალგაზრდობა ნიჭიერთა შერჩევის დიდ საშუალებას იძლევა. მაგრამ რაც შეეხება მეორე მხარეს — შრომას, ამ მხრივ კი ძალიან ვცოდავთ და, თუ მოჭიდავეთა ჩამორჩენის მიზეზებს ვეძებთ, უპირველეს ყოვლისა სწორედ აქ უნდა ვეძებოთ.

სანამ უფრო ღრმად ჩავწვდებოდეთ ამ საკითხს, საჭიროა მოკლედ აღვნიშნოთ, რომ ჭიდაობაში საწვრთნელ დატვირთვათა აღრიცხვა გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. ამ პრობლემის გადაჭრის ყველა ცდა ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა, ამიტომაც მსოფლიოში არ იყო შემუშავებული მოჭიდავეების საწვრთნელ დატვირთვათა აღრიცხვის მეთოდიკა. მხოლოდ 1974 წელს ვ. სიტნიკის მიერ დაცულმა დისერტაციამ მოგვაწოდა ეს მეთოდიკა. ჩვენ იგი დაუყოვნებლივ გამოვიყენეთ საქართველოს ნაკრების წევრთა საწვრთნელი დატვირთვების აღრიცხვისთვის.

კვლევის შედეგებმა სამწუხარო სურათი გვიჩვენა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი მოჭიდავეები უკეთეს შემთხვევაში კვირაში 5-6 საათს ვარჯიშობენ, უმეტესობა კი — თვეში 15-20 საათს. ეს იმდენად ცოტაა, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ასეთი ვარჯიში დიდი სპორტის საწვრთნელ დატვირთვათა მსოფლიო სტანდარტებს 5-6-ჯერ ჩამორჩება. ამისი პირდაპირი მიზეზია მოჭიდავეთა ფიზიკური გამძლეობის უკმარისობა ბოლო წუთებში. აქედან გამომდინარე, ჩვენი მოჭიდავეები საკავშირო და მსოფლიო პირველობების შეკრებებზე ფიზიკურად ვერ უძლებენ საწვრთნელ დატვირთვებს და ხშირ შემთხვევაში შეკრების ბოლოს, იმის მაგიერ, რომ სპორტული ფორმის მწვერვალს მიაღწიონ, გადაღლის, გადაწვრთნის ფაზაში აღმოჩნდებიან ხოლმე.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვიკვლიეთ მათი სუსტი მომზადება, სავსებით ნათელი გახდა შეკრებებზე ასეთი გადაღლის ლოგიკური მხარე. ეს გახლავთ ის, რომ სპორტსმენთა ორგანიზმი არ არის მომზადებული საერთაშორისო კლასის ოსტატებისთვის გათვალისწინებული დატვირთვისთვის.

ამრიგად, ჩვენ დავადგინეთ მოჭიდავეთა მომზადების სუსტი მხარე და მათი პირველი რეზერვი შემდგომი წარმატებებისთვის. ეს გახლავთ საწვრთნელ დატვირთვათა განუხრელი ზრდა იმ ვარაუდით, რომ ერთ-ორ წელიწადში დატვირთვათა მოცულობა 4-5-ჯერ გაიზარდოს. მხოლოდ ეს მოგვცემს საშუალებას შევარჩიოთ ჩვენი მომავალი ჭიდაობის ელიტა, რომელიც თავისი ჯანმრთელობის წყალობით, თავისი ნიჭიერებითა და თავგამოდებული შრომით კვლავაც ღირსეულად დაიცავს საქართველოს ღირსებას.

ეს მეტად რთული ამოცანაა. იგი ნიშნავს წლების მანძილზე ჩამოყალიბებული სისტემის მსხვრევას, მაგრამ უამისოდ ჩვენი მოჭიდავეები ვერ გააკეთებენ თვისობრივ ნახტომს. და თუ ასე არ მოხდა, ისინი არამც თუ ვერ მიუახლოვდებიან, არამედ უიმედოდ ჩამორჩებიან მსოფლიოში აღიარებულ საწვრთნელ დატვირთვათა სტანდარტებს.

ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურმა სპეციალიზებულმა სკოლამ უკვე გადადგა ამისკენ პრაქტიკული ნაბიჯები და ამა წლის თებერვლიდან საწვრთნელი ვარჯიშები ორჯერ გაზარდა. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, იგი მოითხოვს შემდგომ ზრდას. მაგრამ აქ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ საწვრთნელი ვარჯიშების მკვეთრი ამაღლება დაკავშირებულია მეტად რთულ პრობლემებთან, როგორიცაა სპორტსმენის ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობა და მისი ადაპტაციის უნარიანობა მკვეთრად გაზრდილი დატვირთვების მიმართ, საწვრთნელ დატვირთვათა უკეთესი ფორმების ძიება, დახარჯული ენერგიის აღდგენის საშუალებათა, ეგრეთ წოდებული რეაბილიტაციის საკითხის გადაწყვეტა და სხვ.

ყოველივე ამისთვის საჭიროა სასწავლო-საწვრთნელ პროცესში კომპლექსურად იქნას გამოყენებული პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, ჰიგიენურ და სამედიცინო-ბიოლოგიურ საშუალებათა ერთობლიობა.

როგორც ამ მოკლე ჩამოთვლიდან ჩანს, დღეს სპორტში უფრო გაბედულად უნდა დაინერგოს მეცნიერების ბოლო მიღწევები. მაგრამ მეცნიერების მონაცემების დანერგვა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მწვრთნელებს არ უნდათ და ყოველმხრივ ეწინააღმდეგებიან პრაქტიკაში სიახლეთა დანერგვას. ამის შესახებ ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ლ. მატვეევი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემული წიგნის „წვრთნის მოძღვრების“ რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში ხატოვნად ამბობს: „არ შეიძლება შერიგება იმასთან, რომ სპორტულ მეცნიერებათა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი არც თუ ისე იშვიათად შეეფარდება აფორიზმს: „ვიცით, მაგრამ არ ვაკეთებთ!“ არის აგრეთვე მთლად პარადოქსული სიტუაციები, როცა დიდი კვლევის შედეგად მოპოვებული ცოდნა დიდი ხნის განმავლობაში ვერ პოულობს ჩვენში მომხმარებელს, მაგრამ უმალვე გამოიყენება სხვა ქვეყნებში და შემდგომ ჩვენ გვიბრუნდება, როგორც რაღაც სიახლენი“.

სპორტში მეცნიერების სიახლეთა დანერგვის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს სწორედ გდრ გვაძლევს. მისი ბრწყინვალე მიღწევები დიდ სპორტში სწორედ მეცნიერული წვრთნის პრინციპებზეა დამყარებული. და ეს მონაცემები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს.

ამრიგად, ნათელი უნდა გახდეს, რომ ჩვენი მოჭიდავეების მეორე დიდ რეზერვს წარმოადგენს წვრთნის სისტემის გარდაქმნა მეცნიერულ საფუძვლებზე. ამ მხრივაც ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურმა სპეციალიზებულმა სკოლამ და ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრამ პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს. შემუშავებულია და ცხოვრებაში ინერგება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების მომზადების საწვრთნელ დატვირთვათა ძირითადი პარამეტრების განმსაზღვრელი პრინციპული სქემა. ასეთი სახის გეგმიანობა პრინციპულად ახალი მიმართულებაა ჭიდაობაში. იგი განაზოგადებს თანამედროვე სპორტული მეცნიერების ბოლო მიღწევებს, იძლევა საშუალებას დაინერგოს საწვრთნელ დატვირთვათა რეჟიმის პროგრამირება და მათი აღრიცხვა. ეს პირველი ნაბიჯებია ნაკრებ გუნდებში საწვრთნელ დატვირთვათა რეჟიმის პროგრამირებული მართვის საკითხების დანერგვისთვის.

გარდა ამისა, „ფალავანთა კლუბში“ ჭიდაობის კათედრისა და სკოლის ერთობლივი ძალებით შეიქმნა მუდმივმოქმედი მეთოდური კაბინეტი, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე წვრთნის განვითარების ტენდენციებს და მიზნად ისახავს დანერგოს ეს სიახლენი სასწავლო-საწვრთნელ პროცესში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სპორტკომიტეტის ბრძანებით შექმნილია საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში და მათ შორის — ჭიდაობაში. ჩვენს გაერთიანებაში შედიან ჭიდაობის კათედრის, სკოლისა და სპორტის სამედიცინო მომსახურების თანამშრომლები. ამ გაერთიანების შექმნა, რა თქმა უნდა, მუშაობაში პროგრესული ფორმების დანერგვის პირველი წამოწყებაა. სწორედ მისი უპირველესი ამოცანაა პრაქტიკაში დანერგოს მეცნიერების სიახლენი. ამ მხრივ გაერთიანებამ გარკვეული ჯაფაც გასწია და ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაში სიახლეთა დანერგვის თაოსნად გვევლინება.

მაგრამ პრაქტიკაში ახალი ფორმების, ახალ შეხედულებათა დანერგვა მთელ რიგ ორგანიზაციულ სირთულეებთანაა გადაჯაჭვული. უპირველეს ყოვლისა აქ სირთულეთა დაძლევა დაკავშირებულია მწვრთნელთა კონსერვატულობის გადალახვასთან, წლობით გაბატონებული სისტემის შეცვლასთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასთან, სპორტსმენთა თეორიული ცოდნის ამაღლებასთან, რამაც უნდა განაპირობოს წვრთნის კულტურის ამაღლება. ამ უკანასკნელი საკითხის გადაჭრას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. იგი წარმოადგენს ჩვენი მოჭიდავეების ოსტატობის ზრდის ერთ-ერთ მთავარ რეზერვს, ვინაიდან, თუ თვითონ სპორტსმენი არ გაერკვა ღრმად წვრთნის თანამედროვე მოთხოვნებში, თუ იგი აქედან გამომდინარე შეგნებულად, უაღრესი გულდადებით არ შეუდგა სპორტული მწვერვალის მეტად რთული გზის დაპყრობას, იგი ვერასოდეს გახდება მსოფლიო კლასის სპორტსმენი. აი, რას წერს ამის შესახებ მსოფლიოში უდიდეს მძლეოსნად აღიარებული ფინელი პ. ნურმი: „ყოველ მწვრთნელს შეუძლია მოამზადოს საშუალო კლასის ბევრი მორბენალი, მაგრამ ვარსკვლავებად მხოლოდ საკუთარი დაუღალავი შრომის შედეგად ხდებიან“.

ამისი მაგალითი ჭიდაობაშიც ბევრი გვაქვს. ჩვენი ვალია დავეხმაროთ სპორტსმენებს ამ რთული გზის დაძლევაში, გავარკვიოთ ისინი მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა მომზადების საიდუმლოებაში, ვასწავლოთ მათ თავიანთი ორგანიზმის თვითკონტროლის საშუალებები, დავეხმაროთ პირად საწვრთნელ დატვირთვათა გეგმების შედგენაში, ვასწავლოთ საწვრთნელ დატვირთვათა აღრიცხვა, გამოვუმუშაოთ ამ მონაცემების ანალიზის უნარი და კიდევ ბევრი რამ. ამ მხრივ ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

პროგრამით გათვალისწინებულ თეორიულ მეცადინეობათა 50 საათი ბოლო დრომდე ფაქტიურად არ ტარდებოდა. თეორიული მეცადინეობანი, თუ ტარდებოდა, უპირატესად ეთმობოდა შეჯიბრების წესებს, მოჭიდავის ტაქტიკურ მოქმედებას უშუალოდ შეჯიბრებების დროს. რაც შეეხება სპორტული წვრთნის კანონზომიერებათა შესწავლას, გეგმიანობას და სხვა ბევრ აუცილებელ საკითხს, ნაკრებ გუნდებში ამას დრო არ ეთმობოდა. ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურმა სპეციალიზებულმა სკოლამ და ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრამ დაიწყეს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ამ ხარვეზთა გამოსწორება. ნაკრებ გუნდებში ჩატარდება პროგრამით გათვალისწინებული თეორიულ მეცადინეობათა კურსი.

გარდა ამისა, სასწავლო პროცესის მკვეთრი გაუმჯობესებისთვის შემოღებულია ნაკრები გუნდის თითოეული წევრის საწვრთნელ დატვირთვათა ყოველდღიური აღრიცხვა. ეს სიახლეა სასწავლო-საწვრთნელ პროცესში. იგი საშუალებას მოგვცემს გავაცნოთ თითოეულ სპორტსმენს ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური, ყოველწლიური დატვირთვები და დავეხმაროთ ამ მონაცემების ანალიზში. უამისოდ დღეს შეუძლებელია საწვრთნელ დატვირთვათა განუხრელი ზრდა. სპორტსმენმა და მწვრთნელმა ნათლად უნდა იცოდნენ, თუ რა საწვრთნელ დატვირთვათა ზღვარს მიაღწიეს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სპორტული წვრთნის ლოგიკის შესაბამისად ყოველწლიურად გაიზარდოს საწვრთნელი დატვირთვები.

ამავე დროს ანალიზი გაუკეთდება საწვრთნელი დატვირთვების ძირითადი პარამეტრების მოცულობას და ინტენსივობას, დაისახება გზები წლიურ წვრთნაში ამ პარამეტრების საუკეთესო ურთიერთშეფარდების მოსაძებნად, რაც საერთო ჯამში განაპირობებს სპორტული ფორმის განვითარების კანონზომიერებათა მართვას.

აი, მოკლედ ის რთული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტასაც დღეს ჩვენგან დიდი სპორტი მოითხოვს. ამ საკითხების გადაჭრაში უდიდესი როლი ეკუთვნით მწვრთნელებს. სწორედ აქედან გამომდინარე, უპირველესი გადაუდებელი ამოცანაა მწვრთნელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ამაღლება. ჭიდაობაში შექმნილი მდგომარეობა ყოველ ჩვენგანს გვაიძულებს ყოველდღიურად ვისწავლოთ და ვასწავლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ველარ გავართმევთ თავს ჩვენს სამსახურებრივ მოვალეობას, ვერ დავაკმაყოფილებთ დიდი სპორტის მოთხოვნებს და, ბუნებრივია, ამ დარგში ზედმეტნი აღმოჩნდებით. დღეს სხვა გზა არ არსებობს.

ახლახან ჩატარებულ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღნიშნული იყო, რომ „დასახული ამოცანის განსახორციელებლად საჭიროა ავამოქმედოთ ყველა არსებული შესაძლებლობა, ყველა რეზერვი, ავამოქმედოთ ყველა რესურსი. ეს რეზერვები უნდა ვეძებოთ წარმოების ყველა უბანზე, ამასთან, ვეძებოთ შეუპოვრად და ბეჯითად“. სპორტშიც არსებობს ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი, რომლებიც არ მოითხოვენ ახალ კაპიტალურ დაბანდებებს. ისინი საჭიროებენ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, ადამიანთა ნდობისა და დაკისრებული საქმიანობისადმი პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას, მუშაობაში კონტროლის სრულყოფას. ამისკენ მოგვიწოდებს დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ქართველ მოჭიდავეთა ჩამორჩენის გამოსწორების ზოგიერთი მიზეზი ამ წერილში დავასახელეთ. ჩვენ კვლავაც დაუღალავად უნდა ვეძებოთ ახალი, ჯერ კიდევ შეუმჩნეველი შესაძლებლობანი.

გ. სალარაძე,

ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ნ. ოუროშიძე,

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთს შეხვდებიან ნონა და ნანა

პრეტენდენტთა მატჩის შედეგებისთვის

შვიდ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა მატჩი საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტებს — ნანა ალექსანდრიასა (თბილისი) და ირინა ლევიტინას (ლენინგრადი) შორის. პირველი სამი პარტია ყაიმით დამთავრდა: მიმდინარეობდა დაზვერვა ბრძოლით. ამას მოჰყვა ორმხრივ გამარჯვებათა სერია. მაგრამ მაშინაც ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ შეძლო წინ ვაჭრილიყო—რეგლამენტით გათვალისწინებული თორმეტი პარტია რომ დამთავრდა, ანგარიში თანაბარი იყო — 6:6. ყველაფერი დამატებითს შეხვედრებს უნდა გადაეწყვიტა. ოთხმა პარტიამ ვერც ერთი მეტოქის უპირატესობა ვერ გამოავლინა. და აი, მეხუთე შეხვედრა. ქართველმა მოჭადრაკემ იგი ბრწყინვალე სტილით ჩაატარა. ჯერ — ლაზიერის ფლანგის ბლოკადა, მერე საიმედო პოზიციის აგება ცენტრში, დასასრულ — ენერგიული იერიში შავ მეფეზე. 36-ე სვლაზე ლევიტინამ მეტოქეს მატჩში გამარჯვება მიულოცა.

25 წლის ნ. ალექსანდრიას უკვე ბევრი საჭადრაკო ჯილდო აქვს მოპოვებული: სსრ კავშირის ჩემპიონის სამი ოქროს მედალი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, მსოფლიო ჩემპიონი გუნდის — სსრ კავშირის ნაკრების წევრის ოქროს მედალი, უმაღლესი ჯილდო ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაში I ადგილზე გასვლისთვის. ახალი გამარჯვება პრეტენდენტთა ფინალურ ბრძოლაში კიდევ ერთი დადასტურება იყო მისი შესანიშნავი საჭადრაკო ტალანტის გაფურჩქვნისა. ამ ორთაბრძოლაში ალექსანდრიამ გამოავლინა ჭადრაკის სტრატეგიისა და ტაქტიკის კანონების ბრწყინვალე ცოდნა, დიდი ერუდიცია დებიუტის სფეროში, ენდშპილის გათამაშების მაღალი ტექნიკა. მატჩის დასკვნით, გადამწყვეტ პარტიაში გამარჯვება მის მაღალ სპორტულ თვისებებზე მეტყველებს: რთულ მომენტში მობილიზების უნარზე, გამარჯვებისკენ სწრაფვაზე, თავშეკავებაზე.

ახლა წინაა ალექსანდრიას შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან. უმაღლესი დონის შეჯიბრებაში საქართველოს ორი საუკეთესო მოჭადრაკე ქალის მონაწილეობა უდავო მიღწევაა რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციის პედაგოგებისა და მწვრთნელებისა, საქართველოს მთელი ფიზკულტურული ორგანიზაციისა.

ა. კოტოვი.
საერთაშორისო დიდოსტატი.
(„პრავდა", 14 მარტი).



წინაა ნ. გაფრინდაშვილისა და ნ. ალექსანდრიას მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ახლა ინტერესით ვიხსენებთ პრეტენდენტის გზას ამ შეხვედრისკენ. ეს სურათი რუსთაველმა ფოტოჟურნალისტმა რ. გაბრიჭიძემ მოგვაწოდა. იგი 1964 წელს თბილისში, სსრ კავშირის XXIV ჩემპიონატის ფინალის დროსაა გადაღებული. ნონასა და ნანას შეხვედრა ყაიმით დაუმთავრებიათ და პარტიას აანალიზებენ. სხვათა შორის, ნონამ ამ ტურნირში საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის პირველი მედალი მოიპოვა, ნანა კი პირველად მონაწილეობდა მოჭადრაკე ქალთა ესოდენ დიდი მნიშვნელობის ფორუმში.

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადება

მსოფლიო პირველობაზე მატჩის შესახებ ნიცაში ფიდე-ს კონგრესზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რევიზიისა და რობერტ ფიშერის თვითმარქვია ადვოკატების მიერ უპრეცედენტო მოთხოვნათა თავს მოხვევის ყოველგვარი ცდები საფრთხეს უქმნის ამ მატჩის ჩატარებას, — ნათქვამია სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადებაში.

განცხადებაში მითითებულია, რომ ფიდე-ს კონგრესის მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებათა რევიზია, რომელთა თანახმადაც რეგლამენტირებულია შეჯიბრება ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე, არღვევს პატიოსანი სპორტული ბრძოლის ყველაზე ელემენტარულ პრინციპებს. ყოველ ნაბიჯზე მიღებულია ზომები, რათა, ერთი მხრივ, შეიქმნას მაქსიმალურად ხელსაყრელი ვითარება ამჟამინდელი ჩემპიონის რობერტ ფიშერისთვის (აშშ), რაც გაუადვილებს მას მოპოვებული ტიტულის შენარჩუნებას, მეორე მხრივ კი ჯერ კიდევ მატჩამდე, ჩააყენონ ამ ტიტულის პრეტენდენტი, საბჭოთა დიდოსტატი ანატოლი კარპოვი ისეთ არათანაბარ პირობებში, როგორიც საჭადრაკო გვირგვინისთვის ბრძოლის ისტორიას არ ახსოვს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ სურთ უმაღლესი საჭადრაკო ტიტულის მაძიებელი, სხვათა შორის, ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ოქროს ოსკარის მფლობელი, სავსებით შეგნებულად წინასწარ ჩააყენონ დამამცირებელ მდგომარეობაში, მიაკუთვნონ მას სტატისტის როლი და აიძულონ მორჩილად შეასრულოს მსოფლიო ჩემპიონის ყველა ახირება.

ეს მანევრები გარკვეულ პირთა ჯგუფისა, რომლებიც, მათივე სიტყვებით, ფიშერის სახელით მოქმედებენ, მიზნად ისახავს არა მარტო სასურველი ფსიქოლოგიური „ფონის" შექმნას ფიშერისთვის მატჩის წინ, არამედ მთელი საერთაშორისო საჭადრაკო მოძრაობის დისკრედიტირებასაც.

ყველა მორალური და იურიდიული პრინციპის საწინააღმდეგოდ, 18 მარტს ბერგენ-ან-ზეეში (ჰოლანდია) იწვევენ ფიდე-ს რიგგარეშე კონგრესს. ამ კონგრესის მოწვევის თაოსნები არ მალავენ თავიანთს განზრახვას, რომ თავს მოახვიონ საერთაშორისო ფედერაციას მატჩის რეგლამენტში ფიშერის მიერ შეტანილი და ნიცაში უარყოფილი აბსურდული „შესწორებები". ფიდე უკან იხევს მათს წინაშე ფინალური შეჯიბრების ჩატარების წესების ყველა პუნქტში.

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფიდე-ს კონგრესის მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს კანონის ძალა აქვს. არ შეიძლება კანონი იმციობანას თამაშით შეიცვალოს; არ შეიძლება საერთაშორისო ფედერაციას ფლიუგერის ხასიათი მიეცეს. მსოფლიო პირველობაზე მატჩის ჩატარებაში კანონიერების დარღვევის ფაქტებმა საფუძვლიანად შეარყია ფიდე-ს ავტორიტეტი. და, სურთ თუ არა ეს პრეზიდენტ მ. ეივეს და ფიდე-ს დანარჩენ ხელმძღვანელებს, მათი უნარი ფედერაციის ხელმძღვანელობისა დასაბუთებულ ეჭვს იწვევს.

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია სავსებით იზიარებს მოწინავე საბჭოთა მოჭადრაკეთა ჯგუფის შეხედულებას, რომელიც გამოთქმულია 10 მარტს ფიდე-ს მისამართით გაგზავნილ ღია წერილში, იგი აცხადებს, რომ, თუ ფიდე-მ ამჯერადაც უკუაგდო ნიცის კონგრესზე 77 ეროვნული ფედერაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებები, მის ოფიციალურ შეჯიბრებებში მოჭადრაკეთა მონაწილეობა ყოველგვარ აზრს კარგავს. (საკდესი).

დამსახურებული გამარჯვება

ყველა მონაცემით, ობიექტურად ნ. ალექსანდრიას უხდა მოეპოვებინა გამარჯვება ი. ლევიტინასთან ორთაბრძოლაში. მართალია, ასეც მოხდა, მაგრამ შეხვედრა მეტისმეტად ამაღელვებელი და გაჭიანურებული გამოდგა. მსოფლიო პირველობის მატჩებშიც კი პარტიების რიცხვი ნაკლებია, ვიდრე პრეტენდენტის გამოვლენას დასჭირდა. იოლ გამარჯვებას არც მოველოდით. ლევიტინამ ბევრჯერ გამოიჩინა ნიჭი და სიმამაცე, განსაკუთრებით კი შარშან მოგვაწონა თავი. ალექსანდრიასთან შეჯიბრებაშიც იგი მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

მძიმე მატჩში გამარჯვება მეტი დამსახურებაა და უფრო დიდი კმაყოფილების მომგვრელიც. ძნელ ბრძოლაში მოჭადრაკის ბუნება, ხასიათი, მომზადება, საერთოდ, მისი საჭადრაკო კულტურა და ერუდიცია უფრო ვლინდება. ნამდვილად გულდასაწყვეტი იქნებოდა, ნანას რომ არ მოეგო. ეს ლიტონი სიტყვები როდია. ამ აზრს მატჩის პარტიების გაცნობა გვიკარნახებს.

მთელი მატჩის მანძილზე მეტოქეებს არ ავიწყდებოდათ მისი სპორტული მნიშვნელობა. და სწორედ ჩან დაჩრდილა მძაფრი შემოქმედებითი პაექრობა.

გავიხსენოთ ორთაბრძოლის სპორტული მხარე: პირველი სამი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მეტოქეებმა მონდომება და გამარჯვებისადმი ლტოლვა არ დაიშურეს. მეოთხე პარტია ლევიტინამ მოიგო, მეხუთეში ნანამ რევანში აიღო. ლევიტინამ კიდევ მოიგო. ალექსანდრიამ ზედიზედ იზეიმა გამარჯვებები მეშვიდე და მერვე პარტიებში და დაწინაურდა, მაგრამ მეცხრე პარტიაში მან უპირატესობა ვერ განავითარა, ყაიმის შანსიც გამორჩა და დამარცხდა. ანგარიში კვლავ გათანაბრდა.

მეტოქენი ფინიშშიც არ დამცხრალან. დასკვნითს სამ პარტიაში ისეთი ქარიშხალი დაატრიალეს, რომ მატჩის ბედი ბეწვზე ეკიდა. ბრძოლამ ზენიტს მეთორმეტე პარტიაში მიაღწია. მას ჯერ ალექსანდრია იგებდა, მერე — ლევიტინა. ბოლოს ცაიტნოტმა, რომელიც ორივეს თან სდევდა, თავისი საქმე გააკეთა: შეხვედრა და მატჩის ძირითადი ნაწილი ყაიმით დასრულდა.

დამატებითი მატჩის პირობამ (პირველ მოგებამდე) ბრძოლას ნერვულობა შემატა. დაძაბული მოჭადრაკეები პირველსავე პარტიაში „დიდოსტატურ ყაიმს" დასჯერდნენ, რაც მანამდე არც ერთ შეხვედრაში არ მომხდარა. ორივეს დაღლა ეტყობოდა. ალექსანდრიას საუცხოო ფიზიკური წრთობა და სულიერი სიმხნევე სწორედ დამატებითი შეხვედრის კრიტიკულ ვითარებაში გამოჩნდა. მისი უპირატესობით მიმდინარეობდა მეოთხე და მეხუთე პარტიები. თუ მანამდე ლევიტინას ყოჩაღად ეჭირა თავი, მეხუთე პარტიაში მან კონტრთამაში ვერ ააწყო, სასტიკ ცაიტნოტშიც მოექცა და დამარცხდა. ეს იყო მატჩის ლოგიკური შედეგი.

შემოქმედებითს ჭიდილში უპირატესობა თავიდანვე ალექსანდრიას მხარეზე იყო. საკმარისია ასეთი შედარება: შავებით ალექსანდრიამ სიცილიური დაცვის ორი (პაულსენისა და დრაკონის) სისტემა, ფრანგული დაცვა და ალიოხინის დაცვა გამოიყენა. ლევიტინამ ორჯერ მიმართა ესპანურ პარტიას, დანარჩენ შეხვედრებში კი მხოლოდ სიცილიური დაცვის პაულსენის სისტემას იყენებდა. თეთრებით ორივე მეტოქე თამაშს მეფის პაიკით იწყებდა. თითქმის მუდამ უპირატესობას ალექსანდრია აღწევდა. სიცილიურ დაცვაში, რომელიც, სხვათა შორის, თერთმეტ პარტიაში გათამაშდა, ალექსანდრიამ, მაგალითად, უფრო დააზუსტა კუს ვვერდითი განვითარების სისტემა. ამ მხრივ შესანიშნავია მატჩის მეშვიდე პარტია. რა თქმა უნდა, ყოველივე ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ნანას მწვრთნელს, დიდოსტატ ბ. გურგენიძეს.

სხვა საქმეა, რატომ ვერ იყენებდა ალექსანდრია დებიუტში მიღებულ უპირატესობას. მას, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: მატჩის უაღრესად დიდი სპორტული მნიშვნელობა და პასუხისმგებლობის გრძნობა ნანას ზედმეტად ბოჭავდა, რის გამოც ხშირად ცაიტნოტში იყო. მსგავს შეხვედრაში, რა თქმა უნდა, ძნელია დაიმორჩილო ნერვები, არ აღელდე. ნერვულობა დაღად აჩნია მატჩის პარტიებს შეცდომების სახით; უშეცდომოდ ჭადრაკს ვერავინ ითამაშებს, მით უმეტეს მსოფლიო პირველობაში. ბოლოს ალექსანდრიამ მაინც მეტი შინაგანი ძალა და თავდაჯერება, მეტი მხნეობა გამოავლინა და ამიტომაც გაიმარჯვა.

თქმა არ უნდა, ალექსანდრია — ლევიტინას მატჩი დაამშვენებს ქალთა მსოფლიო პირველობების მატიანეს. მსგავსად დაძაბული და ხანგრძლივი ორთაბრძოლა მას არ ახსოვს.

თ. გიორგაძე.

დეპეშა ტაშკენტიდან

ულოცავენ მოკრივეები

საქართველოს მოკრივეთა ნაკრები გუნდი მხურვალედ ულოცავს ნანა ალექსანდრიას სასახელო გამარჯვებას ლევიტინასთან ძნელ ბრძოლაში.

მოკრივეთა დელეგაციის ხელმძღვანელები
შ. ახვლედიანი, ბ. კვინიხიძე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

სულ 2 ქულით

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ვილნიუსი. ადგილობრივმა „სტატიბამ" მეორე მატჩიც წააგო მოსკოვის „დინამოსთან" — 68:79 (43:43).

კიევი. ადგილობრივმა „სტროიტელმა" დამაჯერებლად აიღო რევანში წინადღით წაგებისთვის — დიდი ანგარიშით მოუგო მინსკის რტი-ს — 102:80 (48:31).

სვერდლოვსკი. გუშინწინ დაძაბული გამოდგა ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრა. „ურალმაშმა" ტოლი არ დაუდო ლენინგრადის „სპარტაკს" და სულ 2 ქულით დამარცხდა — 67:69 (36:34).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ."	31	27	4	2590—2152	27
ცსკა	30	24	6	2902—2504	24
„დ." (მ.)	30	22	8	2515—2349	22
„დ." (თბ.)	30	18	12	2514—2498	18
„ჟალგ."	32	17	15	2703—2745	17
„სტროიტ."	34	14	20	2862—2853	14
„კალევი"	28	12	16	2234—2251	12
რტი	34	10	24	2515—3055	10
„სტატ."	34	9	25	2674—2945	9
„ურალ."	31	4	27	2483—2940	4

რაიონებში [illegible]

✦ ვანი

ფაშისტურ გერმანიასთან საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიეძღვნა პირად-გუნდური რაიონული პირველობა ტყვიის სროლაში. გუნდური I ადგილი ქალაქის № 68 პროფტექნიკური სასწავლებლის (დირექტორი ა. ერემეიშვილი) კოლექტივმა დაიკავა. ქალთა პირად ტურნირში ყველას აჯობა ლ. ვერბამ. II ადგილი დაიკავა ნ. ახობაძემ, III — რ. ნაფეტვარიძემ. ვაჟთა შორის I ადგილი ი. დვალიშვილმა დაიკავა. II ადგილზეა ვ. აბრამიძე, III — ა. ქემეტალიძე.

მ. აბრამიძე,
სპორტის ოსტატი.

„ლელოს" პრიზების პირველი ლაურეატები

დასასრული

მოუტანა. იგი მესამე დაეშვა და, როცა ფინიშის ხაზი გადაკვეთა, ელექტროწამმზომებმა 1.55,27 აღნიშნეს. საკავშირო პირველობის ლიდერს — ლენინგრადელ ნ. სნეჟუროვს („შრომითი რეზერვები"), რომელმაც სლავსკოეში გამართულ მეორე ტურის შეჯიბრებაში ორივე სახეობა მოიგო და 80 ქულა მოაგროვა, აქ ხელი მოეცარა — V ადგილი დაიკავა, თუმცა ამ ადგილისთვის დაწესებული 21 ქულა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სნეჟუროვს სწრაფდაშვებაში საერთო ლიდერობა შეენარჩუნებინა.

ვაჟთა ასპარეზობის 62 მონაწილეს შორის 11 ბაკურიანში აღზრდილი სპორტსმენი იყო. ისინი სხვადასხვა საზოგადოების ღირსებას იცავდნენ. ყველაზე კარგად დაეშვა არმიელთა გუნდის წევრი ი. ნასყიდაშვილი, რომელმაც XIII ადგილი დაიკავა და 8 ქულა დაიმსახურა. სამწუხაროდ, საქართველოს სპორტსმენთაგან მის გარდა ოცეულში ვერავინ შევიდა. უფრო მეტი (12) ქულა მოიპოვა ნასყიდაშვილის მეუღლემ, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა სვეტლანამ („კოლმეურნე"), რომელმაც აჯობა 9 სპორტის ოსტატს, მათ შორის სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, სპარტაკელ ლ. კაბანოვასაც (კემეროვო) და VIII ადგილი დაიკავა — 1.22,29. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ ქალთა შეჯიბრებაში საქართველოდან მარტო ს. ნასყიდაშვილი მონაწილეობდა.

შეჯიბრების ორგანიზატორებისა და მსაჯების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ძალა არ დაიშურეს შესანიშნავი ტრასების მოსაწყობად. ზამთრის III სპარტაკიადის პროგრამით აქვე გამართული შეჯიბრებების ტრასისგან განსხვავებით, დისტანცია ამჯერად უფრო რთული იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხელოვნური ტრამპლინი, რომელიც ვაჟების ტრასის თითქმის შუა ნაწილში და ქალთა შეჯიბრების ფინიშამდე 150 მეტრზე მოეწყო. ამან მონაწილეებს ძნელი გამოცდა მოუწყო და ასპარეზობაც ხანახაობრივად უფრო საინტერესო გახდა.

ქალთა შეჯიბრებას თავიდანვე სათავეში ჩაუდგა შარშანდელი სპარტაკიადის ჩემპიონი, ბელორუსელი ტ. პერჩატკინა („სპარტაკი"), რომელმაც სლავსკოედან აქ სამი სახეობის ჯამში ყველაზე მეტი — 94 ქულა ჩამოიტანა. მაგრამ მას გამარჯვება სწრაფდაშვებაში არც აქ ეწერა. სლავსკოეში ამ სახეობაში ტ. პერჩატკინას კემეროველმა ა. ასკაროვამ („ბურევესტნიკი") 0,57 წამი მოუგო, აქ კი ეს სხვაობა 1,01 წამამდე გაიზარდა.

ხვალ აქვე მეორედ ჩატარდება სწრაფდაშვება, რომელიც ასევე საკავშირო ჩემპიონატის ჩათვლაში შედის.

ო. გელაშვილი.

ტექნიკური შედეგები

სწრაფდაშვება I. ქალები (ტრასის სიგრძე 1950 მ, სიმაღლეთა სხვაობა 590 მ, 14 კარი). ა. ასკაროვა — 1.18,71, ტ. პერჩატკინა — 1.19,72, ნ. პერჩატკინა (ბელორუსის „სპარტაკი") — 1.20,56. **ვაჟები** (ტრასის სიგრძე 2850 მ, სიმაღლეთა სხვაობა 740 მ, 19 კარი). ვ. სემიონოვი (კიევის „დინამო") — 1.55,27, ვ. ციგანოვი (მონჩეგორსკის „ტრუდი") — 1.55,51, ვ. მაკეევი (კემეროვოს „ბურევესტნიკი") — 1.56,43. **საქართველოს სპორტსმენთა შედეგები.** ი. ნასყიდაშვილი (ასკ) — მე-13 ადგილი, 2.00,48, გ. ჯიჯოევი („დინამო") — 23-ე ადგილი, 2.03,07, ა. სტეპანიანი („სპარტაკი" 37-ე, 2.05,33, ნ. ჯეირანაშვილი („კოლმეურნე") — 43-ე, 2.08,18, ა. ლითანოვი („სპარტაკი") — 44-ე, 2.08,25, ვ. ჯიჯოევი („დინამო") — 47-ე, 2.09,47, ლ. ბანძური (ასკ) — 48-ე, 2.09,55, ზ. მაკიევი („სპარტაკი") — 49-ე, 2.09,57, გ. ფანჯაკიძე („კოლმეურნე") — 50-ე, 2.09,73, რ. აკოფოვი („ბურევესტნიკი") — 52-ე, 2.20,85.

KORANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABДARUGAS

ყველაფერს მომავალი გაარკვევს...

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა ამას წინათ სპეციალური პრეს-კონფერენცია მოიწვია, სადაც ხაზგასმით, საგანგებოდ განუცხადა ჟურნალისტებს შემდეგი:

„არგენტინამ ოფიციალური გარანტია მოგვცა, რომ 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სათანადო დონეზე მოეწყობა და ჩატარდება სადღეისო მოთხოვნათა შესაბამისად. ჩვენ მივიღეთ არგენტინის მთავრობის წარმომადგენელ პ. ვასკესის, აგრეთვე, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის რწმუნებანი, რომ ყველაფერი, რაც დაგეგმილია ჩემპიონატის ჩასატარებლად, შესრულდება დროულად და ხარისხიანად; ფინალის მონაწილეებს საშუალება მიეცემათ სრულ განკარგულებაში იქონიონ შემოსავლის თავიანთი წილი ვალუტით; არგენტინის ხელისუფლება კვლავ გვიდასტურებს, რომ 1977 წლის ბოლოსთვის დასრულდება ყველა საჭირო სამუშაო ახალი სტადიონების აგებისა და არსებულთა მოდერნიზაციისთვის, რომ კავშირგაბმულობისა და ტელეგადაცემათა ყველა სისტემა სრულ წესრიგში იქნება“...

რა მოხდა? რატომ დასჭირდა ფიფა-ს პრეზიდენტს სპეციალური პრეს-კონფერენციის გამართვა და საქვეყნოდ მტკიცება იმისა, რომ მსოფლიოს XI ჩემპიონატი ფეხბურთში 1978 წელს გაიმართება არგენტინაში? ეს ხომ ყველამ კარგად იცის! და, საერთოდ, 1986 წლის ჩათვლით ყოველ მსოფლიო ჩემპიონატს ჰყავს მასპინძელი.

კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს, არგენტინიდან მონაბერმა კვამლმა კი ევროპაში იმის ძალზე საეჭვო სუნი დააყენა, რომ იქ ჩემპიონატისთვის მზადების საქმეში ყველაფერი რიგზე არაა. პირველი საეჭვო სიგნალები ჯერ კიდევ შარშან გაისმა, დასავლეთ გერმანიაში X მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, რის გამოც ჟ. აველანჟს სასწრაფოდ მოუხდა ბრაზილიიდან არგენტინაში ჩასვლა საინსპექციო ჯგუფის თანხლებით.

კომისიამ თითქოს ვერაფერი ნახა საგანგაშო, მისი წევრები ყოველნაირად ცდილობდნენ ვარდისფერი სათვალით ეცქირათ მოვლენებისთვის, მაგრამ კმაყოფილი მაინც არც ერთი მათგანი არ იყო. ინგლისური ჟურნალის „უორლდ სოკერის“ კორესპონდენტი აცხადებდა, რომ არგენტინის სახელმწიფო ინსტანციებს ამ დროისთვის არავითარი კონკრეტული ნაბიჯი არ გადაედგათ საქმის წინ წასაწევად. მეტიც, ჟურნალმა თავის ეჭვს კატეგორიული ფორმა მისცა: „ადრე თუ გვიან საჭირო შეიქნება ფინალის ადგილის შეცვლა, ამიტომ უმჯობესია ეს გაკეთდეს ადრე, ვიდრე გვიან“.

ცეცხლზე ნავთი დაასხა ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტმა ა. ფრანკიმ. „არგენტინაში კარგად მიგვიღეს, ენთუზიაზმიც საკმაოდ გამოიჩინეს, — თქვა მან, — მაგრამ ჩემპიონატის მოწყობისთვის პრაქტიკულად იქ არაფერი კეთდება“.

დაუმატეთ ამას ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტ გ. ნიურბერგერის სიტყვები: „იმ ოთხი სტადიონიდან, რომლებიც ჩვენ დავათვალიერეთ, მხოლოდ ერთს აქვს ფერადი ტელეგადაცემისთვის საჭირო მოწყობილობა. ასეთი ტემპებით მსოფლიო ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში ვერ შევხვდებით“.

ერთი სიტყვით, ევროპელები სკეპტიციზმმა შეიპყრო. ამ სიტუაციაში მეხივით გავარდა ხმა, რომ ბელგიისა და ჰოლანდიის მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება თავიანთს ქვეყნებში ერთობლივად ჩაატარონ 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრება. ბრიუსელში სასწრაფოდ შედგა ბელგიის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც შესაბამისი დადგენილება მიიღო აღნიშნულ საკითხზე. ამ თათბირის შემდეგ ბელგიის პრემიერ-მინისტრმა ლ. ტინდემანსმა განაცხადა, რომ უკვე შემუშავებულია წინასწარი პროექტი, რომ მას მოლაპარაკება ჰქონდა ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრ ი. მ. დენ იოილთან და ყველა საკითხზე მათ შორის სრული თანხმობა არსებობს.

აქ კი დაფაცურდნენ არგენტინელები. საქმე სახუმროდ აღარ იყო; საფეხბურთო ევროპა პროტესტის ტალღამ მოიცვა, ეს ეპიდემია სხვა კონტინენტებზეც გადავიდოდა და მერე, ვინ იცის, როდის მოუწევდა არგენტინას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის ჩატარება.

მდგომარეობის ხსნა დაევალა არგენტინის ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან, ავტორიტეტულ მინისტრს ხოსე ლოპეს რეგას. მანაც არ დააყოვნა: „მსოფლიო ჩემპიონატს მთავრობის აბსოლუტური მხარდაჭერა აქვს, — თქვა მან. — ჩვენი ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს, რათა შეჯიბრება უმაღლეს დონეზე ჩატარდეს. არგენტინის ხელისუფლება მთელი სერიოზულობით ეკიდება 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატს და არავის მისცემს უფლებას წაგვართვას ესოდენ მნიშვნელოვანი შეჯიბრების ჩატარების პრიორიტეტი“.

ხ. რეგამ კონკრეტული გეგმებიც წამოაყენა: აიგება ორი დიდი სტადიონი კორდობასა და მენდოზაში, დანარჩენები გადაკეთდება თანამედროვე ნორმების შესაბამისად. ფინალისთვის სამზადისი დაჯდება სულ 60 მილიონი დოლარი, რომელთაგან 36 მილიონს გაიღებს მთავრობა, დანარჩენს კი — ფედერაცია და კლუბები.

ასეთ ვითარებაში ციურიხში გაიმართა ფიფა-ს აღმასკომის სხდომა, მიძღვნილი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის ჩატარებისადმი. სხდომის დარბაზის კარი ჩაკეტილი იყო პრესის წარმომადგენელთათვის, არგენტინიდან ჩამოვიდა სოლიდური დელეგაცია ტურიზმისა და სპორტის მინისტრის პედრო ელადიო ვასკესის მეთაურობით. დელეგაციას დავალებული ჰქონდა წარმოედგინა დეტალური მოხსენებები და გეგმები ბაზების მშენებლობაზე, კავშირგაბმულობის საშუალებათა გაუმჯობესებაზე, გუნდების მიღება-დაბინავებაზე, პრეს-ბიუროს მუშაობის ორგანიზებაზე, ტურისტთა ცხოვრების პირობებზე და ა. შ.

თითოეული მოხსენება მინდობილი ჰქონდა მაღალი თანამდებობის ოფიციალურ პირს. გარდა თვით პ. ვასკესისა, კავშირგაბმულობის საკითხზე გამოვიდა არგენტინის ტელეკომუნიკაციის გაერთიანების გენერალური მდივანი ხ. ხონჩი, მშენებლობებზე ილაპარაკა მთავარმა არქიტექტორმა ჩ. რასეტიმ, სტუმრების მიღება-განაწილებაზე — ტურიზმის გენერალურმა მდივანმა ხ. ფერნანდოსმა...

მხოლოდ თათბირის შემდეგ გაუღეს კარი ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებს. ჟ. აველანჟმა, მისთვის ჩვეული ოპტიმიზმით, კვლავ დადებითი შეფასება მისცა ჩემპიონატისთვის სამზადისს, ხოლო პ. ვასკესმა განაცხადა, რომ ყველა პრობლემა წარმატებით წყდება და მომავალში რაიმე ეჭვის შეტანა არგენტინელთა საქმიანობაში, უბრალოდ, არაობიექტურობა და წინასწარ განზრახული მიკერძოება იქნებოდა.

აი, ასეა ახლა საქმე. ბელგია და ჰოლანდია ჩასაფრებული არიან მზამზარეული პროექტებით, არგენტინელები კი დაპირებას დაპირებაზე იძლევიან. ყველაფერს მომავალი გაარკვევს. უფრო სწორად, 29-30 აპრილს სენეგალის დედაქალაქ დაკარში უნდა გაიმართოს ფიფა-ს ხელმძღვანელი ორგანოების სხდომა, სადაც ბევრ რამეს მოეფინება ნათელი.

ციურიხის სხდომაზე დაადგინეს, რომ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის განაცხადების წარდგენის ვადა 31 აგვისტომდეა, შესარჩევი ჯგუფების შემადგენლობანი გაირკვევა წლეულს შემოდგომაზე, საკვალიფიკაციო მატჩები ჩატარდება 1976 წლის 1 იანვრიდან 1977 წლის 1 დეკემბრამდე, ფინალისტთა წილისყრა კი მოეწყობა 1978 წლის იანვარში.

„ლელოს“ მიმომხილველი.

შესწევს ძალა... ✓

ავსტრიელი სამთომოთხილამურე, 20 წლის ფრანც კლამერი, რომელიც დიდხანს ლიდერობდა მსოფლიო თასის გათამაშებას, როგორც ცნობილია, დაშავებული იყო და სპორტული ფორმა დაკარგა. მაგრამ ამას წინათ გამართულ თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე მან დაამტკიცა, რომ შესწევს ძალა პირველობისთვის იბრძოლოს. იგი საუკეთესო დროით (1.55,64) მიიჭრა სწრაფდაშვების ფინიშთან. II ადგილზე დასავლეთგერმანელი მ. ფაიტი გავიდა — 1.57,82, ხოლო III — რ. ბერტო (შვეიცარია) — 1.57,84.

თასის გათამაშებას კვლავ იტალიელი გუსტავო ტონი უდგას სათავეში — 219 ქულა. კლამერი 215 ქულით II ადგილზეა.

(საქ. ინფ.).

„...ასე კარგად არ უთამაშია“

ინგლისი — გფრ 2:0 ✓

ამ შეხვედრას მთელი საფეხბურთო სამყარო უდიდესი ინტერესით ელოდა. მართლაც, ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გასულ ოთხშაბათს გამართულმა მატჩმა მასპინძელი ქვეყნის ნაკრებსა და მსოფლიო ჩემპიონს — გფრ-ის ეროვნულ გუნდს შორის დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. განსაკუთრებით ღელავდა ინგლისის ნაკრების მწვრთნელი დონ რივი, რომლის მოსვლის შემდეგაც გუნდმა სულ ორი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა (დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელები ანგარიშით 3:0 და ფრედ ითამაშა პორტუგალიელებთან — 0:0). მაგრამ მათი ახლანდელი მეტოქე რანგითაც და კლასითაც ხომ ორივე წინა მეტოქეზე მაღლა დგას!

მატჩის წინ რივიმ განაცხადა: „განვლილ ორ შეხვედრაში 16 მოთამაშე გამოვცადე. ამ ერთი წლის განმავლობაში, სანამ მტკიცე ძირითად შემადგენლობას შევარჩევ, კიდევ ბევრი ფეხბურთელის გამოცდა მაქვს განზრახული, მაგრამ დასავლეთ გერმანიის ნაკრებთან შეხვედრაში შემადგენლობა დაახლოებით ისეთივე იქნება, როგორიც უკვე ჩატარებულ მატჩებში“.

მასპინძლებმა მატჩი მართლაც ბრწყინვალედ ჩაატარეს და დაამარცხეს მეტოქე — 2:0. პირველ ტაიმში მათმა ნახევარმცველმა კოლინ ბელმა კარისკენ დაარტყა, ბურთი ერთ-ერთ მცველს მოხვდა და კარში აღმოჩნდა. შესვენების შემდეგ ახალგაზრდა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მალკოლმ მაკდონალდმა თავით შესანიშნავი გოლი გაიტანა ოდნავ წინ გამოსული მაიერის კარში.

მატჩის მერე რივიმ თქვა: „მას შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრებს ჩავუდექი სათავეში, ჩემს გუნდს ასე კარგად არ უთამაშია“.

(საქ. ინფ.).

გვთავაზობს „სპორტლოტო“

კონკურსი — „ჰოკეი-75“

საყოველთაოდ ცნობილია, რაოდენ დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა კავშირში ჰოკეი შაიბით. სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა გაითვალისწინა ეს პოპულარობა და გამოუშვა ბუკლეტი „ჰოკეი-75“.

სუვენირი-ბუკლეტი ზემოხსენებულ კონკურსში მონაწილეობის უფლებას იძლევა. იგი 50 კაპიკი ღირს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, როგორც ჰოკეის ცალკეულ მოყვარულებს, ისე მთელ კოლექტივებსა და ოჯახებს.

ყველას შეუძლია შეიძინოს და ბუკლეტში მითითებული მისამართით გაგზავნოს ბილეთები განუსაზღვრელი რაოდენობით არა უგვიანეს 5 აპრილისა.

კონკურსში გამარჯვებულნი პრემიებს მიიღებენ. გამოყოფილია ფულადი ფონდი — ბუკლეტების რეალიზაციით მიღებული საერთო თანხის 25 პროცენტი.

პირველ ყოვლისა აუცილებელია სწორი პასუხი გასცეთ წინასწარ შეკითხვაზე: მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე რომელი გუნდი დაიკავებს V ადგილს? მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ კონკურსში.

ის, ვინც სწორად გასცემს პასუხს კონკურსის პირველ ნაწილზე, 100 მანეთამდე თანხით დაჯილდოვდება.

ჰოკეის მოყვარულები, რომლებიც სწორად გასცემენ პასუხებს კონკურსის ორივე ნაწილზე (და წინასწარ შეკითხვაზე), მიიღებენ ფულად პრემიას 1000 მანეთამდე. კონკურსის შედეგები პრესაში გამოქვეყნდება.

ბუკლეტების შეძენა შეგიძლიათ საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან, რომლებიც „სპორტლოტოს“ ბილეთებს ყიდიან.

მ. ბერელაშვილი

მან ექვს ათეულ წლამდეც ვერ მიაღწია: 17 მარტს მიხეილ ვლადიმერის ძე ბერელაშვილს 60 წელი შეუსრულდებოდა. მოულოდნელმა სიკვდილმა შეწყვიტა ამ სიცოცხლით სავსე, კეთილი და ყველასთვის საყვარელი ვაჟკაცის ცხოვრება.

მიხეილ ბერელაშვილი ქართული ჭიდაობის ოსტატთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენი სახელოვანი ფალავნების კეთილ სახელს. ჭიდაობა მშობლიურ სოფელ ტინისხიდში ისწავლა. გორში დაამთავრა საშუალო სკოლა და, როცა თბილისში ჩამოვიდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სასწავლებლად, გამოჩენილი ფალავნების ა. მეკოკიშვილის, ს. ნაკაშაშვილის, ქ. ბნაველის მხარდამხარ ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციას შეუდგა.

აი, სწორედ მაშინ მიაქცია მას ყურადღება ქართული ჭიდაობის დიდმა მოამაგემ და ენთუზიასტმა მიხეილ ხერხეულიძემ, რომლის მახვილ თვალს არ გამორჩენია ჭაბუკის ვაჟკაცური შემართება, მონდომება, ძალა. მიხეილ ბერელაშვილი სულ მალე ჩადგა რესპუბლიკის უძლიერეს ფალავანთა მწყობრში და დიდხანს იყო საქართველოს და ამიერკავკასიის ჩემპიონი საშუალო წონაში.

იგი განსაკუთრებული ნიჭისა და ტაქტის ადამიანი იყო. საქმეს მუდამ გულისყურითა და შთაგონებით ჰკიდებდა ხელს. ქართულ ჭიდაობაში მან საკუთარი ფანდი დაამუშავა, რომელსაც მერე „ბერელაშვილის მოგვერდი“ შეარქვეს. მ. ბერელაშვილი ჩვენს სათაყვანებელ მამულიშვილთან არსენ მეკოკიშვილთან ერთად უდიდეს ზრუნვასა და ყურადღებას იჩენდა ახალგაზრდებისადმი, იყო მათი მრჩეველი და ჭკუის დამრიგებელი.

სპორტს მ. ბერელაშვილი დაშორდა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, როცა ახალგაზრდა ინჟინერი სუმგაითის თბოელექტროცენტრალის მშენებლობაზე გაემგზავრა. იგი შრომაშიც ისეთი პატიოსანი ენთუზიასტი იყო, როგორიც სპორტში, თავისი ერისა და ხალხის მოსიყვარულე.

ძნელია, როცა ცხოვრებიდან მიდის ჯან-ღონით სავსე და მხნე ადამიანი, რომელსაც კიდევ შეეძლო სარგებლობის მოტანა იმ საზოგადოებისთვის, რომლის საუკეთესო წარმომადგენელიც თვითონვე იყო. ძნელია დაკარგვა მეგობრის, ახლობლის, ნათესავის, რომელსაც უზომოდ უყვარდა ადამიანები.

ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია.

მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 12 მარტი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მე-8 ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო“: 1 (საავიაციო სპორტი), 2 (საავტომობილო სპორტი), 18 (რუსული რიკაობა), 25 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 36 (სლალომი), 46 (ჰოკეი);

„სპორტლოტო-2“: 18 (რუსული რიკაობა), 31 (ცურვა), 32 (წყალში ხტომა), 33 (რეგბი), 34 (ხელბურთი), 45 (ფეხბურთი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 15 მარტი. „ისნის“ სტადიონი. „განთიადი“ (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი). დასაწყისი 16 ს. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ავაზა“ (თბილისი). 14 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი). 16 ს.

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). 15 მარტი. **საქართველოს და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა.** დასაწყისი 12 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66418 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14 უე 02583